„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აპრილი. 2021 * (2)69

14 აპრილი „დედაენის“ დღე!

ქებაჲ და დიდებაჲ ჯერითურთ ერისაჲ

იოანე ზოსიმე

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმა



ენა ადამიანებთან ურთიერთობების მთავარი საშუალებაა. ცხადია, ბევრმა კარგად იცის, რომ დედამიწის ზურგზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ენას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, 2009 წლის მონაცემებით მსოფლიოში 6.909 ენაზე მოლაპარაკე ერია დაფიქსირებული, რომელთაგან ევროპაში საუბრობენ 230, ხოლო აზიაში – 2197 ენაზე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე არაერთი ენა გაქრა.

ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან!

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ,

და მეგობრობაჲ ამისთჳს თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს თქუა დავით წინაჲწარმეტყუელმან, რამეთუ " წელი ათასი - ვითარცა ერთი დღჱ",

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჱსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხ - ათასსა მარაგსა,

და ესე არს ოთხი დღჱ, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთჳს მისთანავე დაფლული სიკვდილითა ნათლის - ღებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა,

და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოცდა-ათოთხმეტი წელი უმეტჱს სხუათა ენათა ქრისტჱს მოსვლითგან დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ, ესე წილი ანბანისაჲ.

„ქვეყნის ღირსების საზომი!”

ამავე საუკუნის 20-იან წლებში მარტო კავკასიაში დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ ენაზე მოლაპარაკე მხოლოდ რამდენიმე ადამიანი-ღა შემორჩენილა.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში, რუსეთის ფედერაციის გარდა, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანი რესპუბლიკა იყო და დღესაც ასეა.

ქართულმა ენამ და დამწერლობამ დღემდე უამრავი დაბრკოლება, წინააღმდეგობა გამოაიარა და, როგორც იტყვიან, ცეცხლსა და მახვილს გაუძლო. იგი გადაშენების გზაზეც არაერთხელ დამდგარა. ყველა დამპყრობი, პირველ რიგში, ჩვენი ენისა და სარწმუნოების წინააღმდეგ იბრძოდა. იყო დრო, როდესაც კატეგორიულად იკრძალებოდა როგორც ქართული ენა, ასევე დამწერლობა. ცარისტული რუსეთის დროს კი უაღრესად ურთულესი მდგომარეობა შეიქმნა. ჩვენმა დიდმა სულიერმა მამებმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ყველაფერი გააკეთეს ქართული ენის დაცვისათვის, ხოლო ერის დიდმა შვილმა, იაკობ გოგებაშვილმა, დაგვიტოვა ის დიდი საგანძური, რითაც არაერთი თაობა აღიზარდა ქართული მენტალიტეტით.

მიუხედავად იმისა, როგორც ვთქვით, 6900-ზე მეტი ენაა მსოფლიოში, ბევრი სახელმწიფოა, მოსახლეობით საქართველოზე გაცილებით დიდიც კი, რომლებსაც არც საკუთარი ენა გააჩნიათ და არც დამწერლობა. საილუსტრაციოდ ისიც კი კმარა, რომ მსოფლიოში მარტო ინგლისურენოვნად მოლაპარაკე 55-მდე სახელმწიფოა, ფრანგულ, ესპანურ ენაზე – ათეული ქვეყანა. საქართველო კი მსოფლიოს ოცეულ ქვეყანაშია შესული, რომელსაც საკუთარი დამწერლობა გააჩნია. ყოველივე ეს რაზეც მიგვანიშნებს, ამას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თითოეული ჭეშმარიტი ადამიანის მოვალეობაა გაუფრთხილდეს მშობლიურ ენას, – დედაენას, სოცოცხლის ფასად იცავდეს იმ ენას, რომელზეც მეტყველებს, აზროვნებს, ჩვენ ხომ ენით შევიცნობთ სიყვარულს ერისას თუ ქვეყნისას, საკუთარი ოჯახისას; ენაშია ჩაკირულ-ჩანივთებული ჩვენი ისტორია, კულტურა; დედაენის გარეშე გაზრდილი ნებისმიერი ეროვნების ადამიანი შორდება საკუთარ ფესვებს, კულტურას, ტრადიციას. როგორც იტყვიან, ასეთ ადამიანებში უცხოა საკუთარი ქვეყნის მიმართ სიყვარული, პატრიოტულ გრძნობებზე ლაპარაკი ხომ წარმოუდგენელია. შენი ენის სიყვარულით უნდა ხედავდე სამყაროს, არასოდეს არ უნდა იქცე საკუთარი მიწის გერად!

ბევრ ჩვენგანს საბჭოთა ეპოქაში მოუწია ცხოვრება და მოწმენი გავხდით იმ ფაქტისა, განგებამ ქართველი ერი 1978 წლის 14 აპრილს უდიდესი გამოცდის წინაშე რომ დააყენა და საბჭოთა შოვინისტურმა რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა. სწორედ ქართველთა ერთსულოვანმა პატრიოტულმა სულისკვეთებამ მოგვცა შესაძლებლობა, დაგვეცვა როგორც საკუთარი, ასევე ამ კავშირში შემავალი სხვა ერების კონსტიტუციური უფლება – შეენარჩუნებინათ საკუთარი ენები.

1978 წლის 14 აპრილი ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ იგი ყოველთვის გვახსენებს თავს, თუ როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ მშობლიურ ენასა და დამწერლობას. ალბათ, ამიტომაცაა – მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, „დედაენისათვის“ ძეგლი რომ დაედგათ.

საქართველოს დედაქალაქში დგას ერის სიმბოლო – „დედაენის“ ძეგლი და გვჯერა, უკვდავ ჩირაღდნად იკაშკაშებს თითოეული ქართველის გულში. მარად უნდა გვახსოვდეს ერთმანეთისაგან განუყოფელი მცნება: „მამული, ენა, სარწმუნოება“ და ჭეშმარიტად ნათქვამი ეს სიტყვებიც: – „დედაენა პიროვნების სახეა; ხალხი ქმნის ენას და ენა ქმნის ერს; სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია!"

ავთანდილ მესხი

მუნიციპალიტეტის საჯიხებულოში

მიმდინარე წლის 19 მარტს მამუკა მელიქიძის თავმჯდომარეობით გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები;

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ,,ასპინძის მუნიცპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 აპრილის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს, რის შემდეგაც საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ანა ტივაძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების თაობაზე (N8-დან N29-ის ჩათვლით), რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

დიდი საქმის სათავეებთან

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც, „კორონა-ვირუსის“ პანდემიის გამო, უაღრესად გართულებულია ეკონომიკური მდგომარეობა და ამ ეტაპზე მთავარ პრობლემას პანდემიასთან ბრძოლა წარმოადგენს, თუმცა მუშაობა ყველა მიმართულებით მაინც ჩვეულ რიტმს უბრუნდება და ცხოვრება „კოვიდ-ვირუსთან“ ერთად გრძელდება. ასევე ინტენსიურ ხასიათს იღებს როგორც სხვა რეგიონებში, ასევე ჩვენთანაც, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ხაზგასმით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ძველი თაობის ასპინძელებისათვის იმ ფაქტის ტკბილი მოგონება, როცა დაბის ცენტრში შესანიშნავი კულტურისა და დასვენების პარკი არსებობდა და დღემდე შემორჩა „მისი ნაკვალევი“, რომელიც თავს გვახსენებს, რომ მისი განახლება აუცილებელია, რათა დაბის ცენტრმა სხვა იერსახე მიიღოს.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასახლებული პუნქტების მოვლა-პატრონობის უკეთილშობილეს საქმეს, რომ ტურიზმის ეპოქაში ჩვენც წარმოვაჩინოთ ჩვენი ეროვნული კულტურა, ჩვენი მზაობა იმისათვის, რომ ქართველ თუ უცხოელ ტურისტსა თუ ექსკურსანტს გავუმასპინძლდეთ ჩვენი შესანიშნავი ისტორიული ძეგლების, ბუნების ხილვითა და მივცეთ საშუალება თავისუფალი დრო კეთილმოწყობილ კულტურისა და დასვენების პარკებში გაატარონ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ასპინძის მერიის ძალისხმევაც. ორიოდე წლის წინ მათ მიერ გაჟღერებული იდეა – კეთილმოწყობილიყო თანამედროვე სტანდარტების დონეზე ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკი – ფრთებს ისხამს, – ახლახან დაიწყო მისი სრული რეაბილიტაცია, კერძოდ, ამ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს მიწის სამუშაოები.

აღნიშნული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1 836 948 ლარს.

სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,გია კონსტრაქშენი''. სამუშაოები 9 თვეში უნდა დასრულდეს.

პარკში გაკეთდება ორი შადრევანი, მინი სტადიონი, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის და სასცენო მოედნები, წყარო, 9 აპრილის მემორიალი, ბეტონის სკამები, დასასვენებელი კუნძულები, ტრენაჟორები, ველო და საფეხმავლო ბილიკები, პარკის ადმინისტრაციული შენობა, საპირფარეშო, რკინის დეკორატიული კონსტრუქცია, ავტოსადგომი. სამშენებლო პროცესები განხორციელდება 1,2 ჰექტარ ფართობზე და სამუშაოებზე ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მუშა-ხელი.

ბაღებში განახლდა საალმზრდელო მუშაობა

ალბათ გაივლის დიდი დრო და ისტორიული წყაროები ამცნობენ მომავალ თაობებს „კოვიდ-19-ის“ პანდემიის თაობაზე, რომელმაც მთელი უკიდეგანო სამყარო მოიცვა და უდიდესი ზიანი მიაყენა, როგორც ადამიანთა სიკვდილიანობის მხრივ, ასევე ეკონომიკური პრობლემების შექმნითაც. თუმცა ბოლომდე ჯერ კიდევ არ ვიცით რა მოგველის ხვალ, მაგრამ ერთი კი ცხადია, მოსწავლეთა საგანმანათლებლო აღზრდის პროცესებს რომ დიდი დაღი დაასვა, უტყუარი ფაქტია.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, როგორც მთელ საქართველოში პირველი მარტიდან ასპინძის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საალმზრდელო პროცესები მოქმედი რეკომენდაციების გათვალისწინებითა და რეგულაციებით განახლდა.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში აქტიურად მიმდინარეობს საალმზრდელო ჯგუფების მოწესრიგება, დაცულია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გაცემული ყველა რეკომენდაცია.

საბავშვო ბაღები სრულად არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით. ამ დროისათვის ყველა თანამშრომელს ჩატარებული აქვს კოვიდ-ტესტირება. აღსაზრდელებსა და მათ მშობლებს ყოველდღიურად უტარდებათ „თერმოსკრინინგები“.

ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს

8 მარტს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ, საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ფართლაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომელ ქალბატონებს, სასწრაფო დახმარებისა და სს ,,ევექსის კლინიკების'' ასპინძის კლინიკის მედ-პერსონალს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა 8 მარტი ადგილზე მისვლით მიულოცეს სოფელ დამალაში მცხოვრებ 100 წლის უხუცეს ქალბატონს სათენიკ ასტატურიანს, ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ორ უხუცეს ქალბატონს და ასპინძის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი – ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის" ხარჯის ფარგლებში პირად ანგარიშზე ჩაურიცხეს ერთჯერადი თანხა 500-500 ლარის ოდენობით.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღნიშნეს

როგორც ცნობილია, 2011 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 21 მარტს მსოფლიო მასშტაბით აღინიშნება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ამ დღეს დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების მეტად ინფორმირების მიზნით სხვადასხვა ღონისძიება იმართება. თარიღი 21.03 სიმბოლური ხასიათისაა, რადგან დაუნის სინდრომი 21-ე ქრომოსომის გასამებით ვლინდება.



ასპინძის მუნიციპალიტეტიც ამა წლის 21 მარტს დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, თანადგომის აქციით შეუერთდა.

აღნიშნული აქციის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაუნის სინდრომის მქონე 18 წლამდე ასაკის ორი აღსაზრდელი ადგილზე მოინახულეს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამით“ გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე არასრულწლოვნებს ერთჯერადი ფულადი დახმარება 200-200 ლარის ოდენობით გადაეცათ.

დედის დღე ასპინძაში

ზუსტად 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე თვეებში საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში დაწესებული იქნა „დედის დღე“. ჩვენს რესპუბლიკაში რა გამოლევს სახალხო დღესასწაულებს, მაგრამ ეს დღე მაინც ერთ-ერთი ყველასაგან გამორჩეული დღეა, რადგან გაზაფხულის დადგომასთან, ბუნების გამოღვიძებასთან, დიდი სიცოცხლის საწყისთანაა გაიგივებული და, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს, თითოეული ჩვენთაგანი დიდი სიყვარულით ხვდება და პატივს მიაგებს ყველა დედას,

3 მარტს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, ასპინძის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ფართლაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მრავალშვილიან დედებს დედის დღე გულთბილად მიულოცეს და მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯებიდან – ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამით“ – გათვალისწინებული ფულადი დახმარებები გადასცეს.

ძველი გაზეთებიდან:

ასპინძა (ახალციხის მაზრა). ასპინძის ძველი სახელოვანი ციხე, რომელიც ქართველთ მეფეებისაგან არის აღშენებული და რომელსაც ძველად იმოდენი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა, რომ თვით მეფე ერეკლეც 1769 წ. ამ ასპინძის ციხის აღებით ფიქრობდა ახალციხის აღებასა და მერე მით მოელის დასავლეთ საქართველოს დაჭერასა, რომელიც ოსმალოს ხელთ იყო, დღეს ეს ძველი, მაგარი ციხე ადგილობრივ გათათრებულ ქართველებისა და ქურთებისაგან მთლად ინგრევა და იქცევა და მის მასალას აქეთიქით ჰზიდავენ სახელების ასაშენებლად, საჭიროა, ვისგან ჯერ არს, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

ახალციხელი

გაზეთი ივერია, N156, 1901 წელი

„ლექსო, არ დაიკარგები!“

დედაენა

დედის ნანამ და მისმა ღიღინმა
აადგმევინა პატარას ენა,
მიტომ უწოდა ყველა ქართველმა
დიდი სითბოთი მას „დედა ენა“.

მეც დედაენით ვისწავლე წერა,
დედაენითვე – ქართულად კითხვა,
თუ დედაენა კარგად არ იცი,
სხვა ენის სწავლას ვერ შეძლებ
დიდხანს.

ქართველს ოდითგან ვინ არ ებრძოდა,
ბევრჯერ გათელეს მათ ჩვენი ენა,
მაგრამ იბრძოდნენ, არ დაგვეკარგა,
ჩვენი ენა და ნათელი რწმენა.

დრო იყო, ჩვენი მამა-პაპანი
მტრის ტყვეობაში იტანჯებოდნენ,
მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდათ
და დედაენას უფრთხილდებოდნენ.

ჩვენო შვილებო, ამას გთხოვთ
მხოლოდ,
პატივი ეცით სუყველა ენას,
მაგრამ ყველაზე მეტად გიყვარდეთ
დედაენათი სწავლის შეძენა!

ავტორ-მთქმელი
მზია წინწკალაძე,
დაბა ასპინძა, 80 წლის

წარმატებების იმედი გვაქვს

ინტერვიუ

ჯაბა ასპანიძე

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ასპინძის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ჯაბა ასპანიძე.

– ბატონო ჯაბა, დიდი ხანია რაც პანდემიის გამო, ჩვენს სინამდვილეში, როგორც ყველგან, ასევე ასპინძაშიც, არ ჩატარებულა მასობრივი კულტურული ღონიძიებები, როგორ მიმდინარეობდა ამ დროს თქვენი მუშაობა, ძირითადად რა საქმიანობას ეწეოდით?

– პანდემიის გამო, როგორც ყველა, ასევე ჩვენი ორგანიზაციაც გადასული იყო ონლაინ მუშაობის რეჟიმზე და ყველა თანამშრომელი ეწეოდა დისტანციურ მუშაობას, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი აღინიშნა ონლაინ რეჟიმში, აგრეთვე „შოთაობის სახალხო დღესასწაულთან“ დაკავშირებით ღონისძიება ჩატარდა არსებული რეგულაციების სრული დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ დამსწრე საზოგადოება ხალვათად იქნა წარმოდგენილი, ღონისძიება მაინც საინტერესოდ წარიმართა, უფრო მეტიც, ამ ღონისძიების პარალელურად გაიმართა „ასპინძობის“ სახალხო დღესასწაული, სადაც „საპატიო ასპინძელის“ წოდებები გადაეცა სამ მოქალაქეს.

– არც თუ ისე დიდი ხანია, რაც პანდემიასთან დაკავშირებით ბევრი შეზღუდვები მოიხსნა. რა გეგმები გაქვთ ონლაინ რეჟიმიდან პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლის შემდეგ?

– რაც პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოიხსნა, ჩვენი სამსახური – კულტურის ცენტრი, სრული დატვირთვით შეუდგა მუშაობას, აგრეთვე მოსწავლე-ახალგაზრდობასთან აგრძელებს მუშაობას ფოლკლორის, საესტრადო და ბავშვთა თეატრის განვითარების მიმართულებით.

– თქვენი აზრით, მას შემდეგ რაც განათლების სამინისტროდან კულტურის სამინისტრო ცალკე უწყებად გამოეყო, რა დადებით შედეგებს ელოდებით?

– მას შემდეგ რაც კულტურის სამინისტრო განათლების სამინისტროს გამოეყო ცალკე უწყებად, რასაკვირველია, კულტურის სფეროს მუშაკები ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ამ სფეროს განვითარებას და მეტ წარმატებებს მივაღწევთ.

– სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები რა პრიორიტეტებით გაქვთ გადანაწილებული, ძირითადი თანხა მაინც რა მიმართულებას ხმარდება?

– ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები გადანაწილებულია როგორც ხელფასებზე, ასევე ორგანიზაციის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარებაზე.

– კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, გაქვთ თუ არა საკმაო რაოდენობის ტექნიკური აღჭურვილობა, – ინსტრუმენტები, გახმოვანების საშუალებები და სხვ.

– რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობისა, კულტურის სამსახური აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების დონის მუსიკალური ინსტრუმენტებით, გახმოვანების აპარატებით, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმარისი მაინც არ არის, სწორედ ამიტომ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს მაქსიმალურად ვიყენებთ და ყოველწლიურად ვახდენთ ბაზის განახლებას.

– რა მდგომარეობაა კადრებთან დაკავშირებით, გყავთ თუ არა პროფესიული კადრები, სად და რა პრობლემებს გრძნობთ თქვენს მუშაობაში?

– რაც შეეხება კადრებს, აქ იმის თქმა შემიძლია, რომ გვყავს თავისი საქმის კარგი სპეციალისტები, მაგრამ მაინც განვიცდით კულტურის სფეროს სპეციალისტების, განსაკუთრებით ახალგაზრდა კადრების ნაკლებობას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი მოზიდვა და დასაქმება. თუ მივაღწევთ ამ პრობლემის გადაწყვეტას, მაშინ კულტურის სფერო ერთერთი გამართული სისტემა გახდება მუნიციპალიტეტში.

– რომელი ფოლკლორული ანსამბლებია ამჟამად თქვენთან და რა საქმიანობას ეწევიან, თუ აქვთ ახალი რეპერტუარი შედგენელი. ასევე საინტერესოა, რა პერესპექტივებია ბავშვთა თეატრალური წრის განვითარების საქმეში.

– კულტურის ცენტრში ამჟამად შექმნილია ფოლკლორული ანსამბლი ,,წუნდა“, რომელიც ეწევა ძველი მესხური სიმღერების აღდგენა-დამუშავებას და, ამასთან, აქვთ ახალი, თანამედროვე, მრავალფეროვანი რეპერტუარი. კულტურის ცენტრში შექმნილია ბავშვთა თეატრალური წრე, სადაც ჩართულია მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდები, რომლებიც დიდი მონდომებით ემზადებიან თეატრალური წარმოდგენისათვის და უახლოეს მომავალში შესთავაზებენ დაინტერესებულ მაყურებელს თავიანთ შემოქმედებას.

– როგორც ვიცით, ამჟამად აქტიურად ემზადებით „ასპინძობის“ სახალხო დღესასწაულისათვის, რა პროგრამით უნდა წარსდგეთ მაყურებლის წინაშე?

– რაც შეეხება ,,ასპინძობის“ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულს, მაქსიმალური დატვირთვით მუშაობს მთელი კოლექტივი, გვექნება მეტად სახალისო და საინტერესო ღონისძიება, რომელსაც იხილავს ჩვენი მაყურებელი ამა წლის 20 აპრილს.

– გმადლობთ, ბატონო ჯაბა, საინტერესო საუბრისათვის. იმედია ახლო მომავალში კიდევ შევხვდებით.

ინტერვიუს უძღვებოდა
ავთანდილ გერიძე

COVID-19 – 2021

ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსული ინფექციის COVID-19 (SARSCOV-2) პანდემია გამოაცხადა. სამყაროს მოსახლეობა ებრძვის ამ ახალ ამოუცნობ ვირუსს, რომელსაც აქვს ადამიანისათვის ძალიან ძლიერი დამაზიანებელი ეფექტი, რომლის საწინააღმდეგოდ კვლავაც ძალაში რჩება სამედიცინო ნიღბის გამოყენება, დისტანციის დაცვა და თავშეყრისაგან თავის არიდება. ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეპიდემიური კონტროლის თვალსაზრისით მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების თანამშრომელთა რანდომული და სკოლა-ბაღის პერსონალის სავალდებულო რეგულარული ტესტირება. აღსანიშნავია, რომ ჩვენს მინიციპალიტეტში ზემოხსენებულ კონტიგენტში რიგითი ტესტირების შედეგად მიმდინარე წელს დღემდე, დადებითი შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებელი 0-ის ტოლია.

მძიმე იყო 2020 წლის ნოემბერი-დეკემბერი ჩვენი ქვეყნისთვის და, ასევე, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც, როცა ჯამურად 329 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა დაგვიფიქსირდა, გარდაიცვალა 4 პაციენტი.

რაც შეეხება 2021 წლის მონაცემებს, იანვარში ჩატარებული 507 ტესტირების შედეგად დადასტურებული იყო 65 დადებითი შემთხვევა, თებერვალში 1214 ტესტიდან პოზიტიური იყო მხოლოდ 6, გვქონდა გარდაცვალების 1 შემთხვევა. ხოლო მარტის თვეში დღემდე 1403 ტესტია ჩატარებული და გამოვლინდა მხოლოდ 1 დადებითი შემთხვევა, რომლის წყაროს დადგენაც სწრაფად მოვახერხეთ, 11 პირს განუსაზღვრეთ თვითიზოლაცია. დღეისათვის გვაქვს მხოლოდ ეს ერთი აქტიური შემთხვევა, თვითიზოლაცია - 0.

ჯერჯერობით, ვერ მოხდა ეტიოტროპული პრეპარატის შექმნა, რომელიც უშუალოდ COVID-19 -ს გამომწვევზე შეძლებს ზემოქმედებას, თუმცა, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სამედიცინო მიღწევის – იმუნიზაციის შესაძლებლობა მოგვეცა, და ეს არის COVID-19-ის ვაქცინის შექმნა, რომელიც დღეს უკვე ჩვენს ქვეყანაშიც არის ხელმისაწვდომი.

2021 წლის 13 მარტიდან ჩვენს ქვეყანაში კოვიდ-19 ის საწინააღმდეგო ვაქცინა – „ასტრაზენეკა“ შემოვიდა, დოზები განსაზღვრული იყო მხოლოდ სამედიცინო პერსონალისთვის. ასტრაზენეკას 100 დოზა ჩვენს მუნიციპალიტეტში, „ევექსის“ კლინიკაშიც განვათავსეთ, რომელიც ასპინძელი სამედიცინო პერსონალის ასაცრელად იყო განკუთვნილი, თუმცა, კამპანიის დაწყებას წინ გაუსწრო ახალციხის ინციდენტმა. ამის შემდეგ მიდგომები ვაქცინაციის პროცესებთან მიმართებაში შეიცვალა და აცრების ადმინისტრირების უფლება რეგიონში მხოლოდ 2 კლინიკას დარჩა ახალციხესა და ახალქალაქში. ამ დროისათვის ასტრაზენეკას დაემატა ქვეყანაში შემოტანილი ფაიზერ-ბიონტეკის ვაქცინა, რომლითაც ასტრაზენეკას მსგავსად, აიცრებიან სამედიცინო პერსონალი და 65 წლის ზემოთ ასაკის მქონე მსურველი მოქალაქეები. რაც შეეხება ვაქცინებს, მათ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აქვს გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია, რაც იმას ნიშნავს,რომ ამ კონკრეტულ დროს შესაძლო გვერდითი მოვლენები კატასტროფულად უფრო ნაკლებია, ვიდრე უვაქცინობით გამოწვეული შედეგები. ორივე ვაქცინა არის ტრენდული, ახასიათებს მაღალი ხარისხის ეფექტურობა და საკმარისად უსაფრთხოა. ფაიზერი არის ახალი თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული, ე.წ. რნმ-ვაქცინა, ხოლო ასტრაზენეკა – შიმპანზეს ადენოვირუსზე დამზადებული ვექტორული ვაქცინა. ორივე მათგანი თავისუფალია ვირუსის გენომისაგან და მხოლოდ ანტისხეულების წარმოქმნას განაპირობებენ, რაც ქმნის ორგანიზმის იმუნიტეტს. გვერდითი მოვლენები, სხვა ნებისმიერი, აქამდე აპრობირებული ვაქცინების მსგავსად, მათაც გააჩნიათ, მეტნაკლები გამოხატულებით. კოვიდვაქცინებსაც, ჩვეულებრივი რუტინული ვაქცინების მსგავსად, ესაჭიროებათ ტემპერატურული რეჟიმის მკაცრი დაცვა, რაც ჩვენთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხაზით, „ცივი ჯაჭვის“ პრინციპით ხორციელდება. ასევე, გვერდითი არასასურველი მოვლენების მართვისთვის ამცრელი კაბინეტები უზრუნველყოფილია ანტიშოკური პრეპარატებით გადაუდებელი დახმარებისათვის. სათანადოდ დატრენინგებულია ამცრელი სამედიცინო პერსონალი. ამჟამად მსოფლიოში 300 მილიონზე მეტი ადამიანია აცრილი (და თუ არ ჩავთვლით ახალციხის შემთხვევას), სანდო საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ სერიოზული უმართავი გართულებები თითქმის არ დაფიქსირებულა იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მაღალი პროცენტია აცრილი.

მოქალაქეები აცრის მისაღებად წინასწარ უნდა დარეგისტრირდნენ საიტზე https://booking.moh.gov.ge/, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სპეციალურად შექმნა კოვიდვაქცინაციის კამპანიის დროს რიგების მართვის მოწესრიგების მიზნით. აღნიშნული საიტით ისარგებლებს აცრის მსურველი მოქალაქე, რომელიც ვიზიტის დაჯავშნის მიზნით, აირჩევს ვაქცინის სახეობას და ბაზაში არსებული ადგილ-მდებარეობისა და იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებლის შერჩევის შემდეგ მიუთითებს პირად მონაცემებს, ასევე, მიუთითებს აცრის ოთახის ნომერს და კონკრეტულ დროს – დღეს, საათსა და წუთს. ეს უკანასკნელი კი წინასწარაა მოცემული ორგანიზაციის – ამცრელი დაწესებულების მხრიდან.

რაც შეეხება ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ, კოვიდვაქცინაციის მომწოდებელი სამედიცინო დაწესებულება არაა რეგისტრირებული. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სამედიცინო პერსონალის ნაწილს აცრის სურვილი აქვს და ახლო მომავალში გეგმავენ დაჯავშნას. ვაქცინაციის კამპანიის დაჩქარებას ხელს შეუწყობს სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მხრიდან საკომუნიკაციო ღონისძიებები ვიზუალური ვიდეო და ნაბეჭდი პოსტერებისა და ლიფლეტების სახით, ასევე, მედიის საშუალებით პროფესიონალთა მიმართვები მოსახლეობისადმი, სოციალურ ქსელებში გავრცელებული და გადაზიარებული ჭეშმარიტი პოზიტიური ინფორმაციები, აცრის მიმართ ნდობის მოპოვების სხვადასხვა მეთოდები, მედიკოსების საფუძვლიანი რჩევები ნაკლებინფორმირებული მოქალაქეებისადმი და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ ვაქცინაცია აქტიურად დაგვეხმარება პანდემიასთან ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზმში იმუნიტეტის ჩამოყალიბებას საშუალოდ 2-4 თვე მაინც ჭირდება. ვაქცინაციას პლუს ნიღბის ტარება, ასევე, დისტანცია და ხელების ჰიგიენა, აუცილებლად დაგვიცავს ინფექციის გავრცელებისაგან, გადამდებლობისა და დაავადების მძიმედ მიმდინარე ფორმებისა და ლეტალური გამოსავლისაგან, ასე, რომ ავიცრათ და ვიყოთ დაცულები!

მზია პაპაშვილი,
ა(ა)იპ ასპინძის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი.
29 მარტი, 2021

ალბათ ყველას დააინტერესებს!..

წლებია მოსახლეობის დიდ ნაწილს, იქ სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს, აინტერესებს თავიანთ საცხოვრებელ ქალაქში, დაბასა თუ სოფელში არსებული ძველი არქიტექტურული ძეგლების შესახებ მონაცემები, თუ ესა თუ ის ობიექტი როდის იქნა აშენებული. ამიტომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც ხშირად ვაქვეყნებთ მსგავს სურათებს რუბრიკით – „წარსულის ფურცლები“, რამაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია და სურვილიც აქვთ ამ მიმართებით კვლავ მივაწოდოთ ინფორმაციები.

ამჟამად გთავაზობთ მუნიციპალიტეტში არსებულ რამდენიმე ობიექტის სურათს თუ რომელი როდის იქნა აშენებული.

შევეცდებით მსგავსი არქიტექტურული ძეგლების სურათები ხშირად შემოგთავაზოთ.



რაისაავადმყოფო. 1958 წელი



უნივერმაღი. 1967 წელი



საცხოვრებელი სახლი. 1960 წელი



საცხოვრებელი სახლი. 1934 წელი



სარაიონო კულტურის სახლი. 1935 წელი



ხერთვისის ხიდი. 1963 წელი

ახალი წიგნები

ახლახან ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ბევრი საინტერესო წიგნებით შეუვსო, მათ შორის:

*მოსწავლის არჩევანი – ვერცხლის ზანზალაკები, I კლასი;

*მოსწავლის არჩევანი – თავგადასავალი საჰაერო ოკეანეში, VI-VII კლასები;

*მოსწავლის არჩევანი – თოვლის გუნდას ამბები, I კლასი (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – იგავ-არაკები, II-III კლასი (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – იუსტაი გორდერის ბანქოს საიდუმლო, IV-V კლასები;

*მოსწავლის არჩევანი – კიკის თავგადასავალი, I კლასი (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები, X კლასი (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – ო ჰენრის მოთხრობები, VIII-IX კლასები (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – ოქროს გასაღები და ბურატინოს აბგადასავალი, II-III კლასები (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – პუშკინი, ბელკინის მოთხრობები, VIII-IX კლასები (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – სანიმუშო მილიონერი, II-III კლასები (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – ქართული ხალხური ზღაპრები, I კლასი (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – ყვითელი კოდალას ორდენი, IV-V (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – შარლ პეროს ზღაპრები, II-III კლასები (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – შერლოკი, ლუპენი და ნე ოპერის ბოლო აქტი, VI-VII კლასები (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – ძმები გრიმების ზღაპრები, II-III კლასები (პალიტრა);

*მოსწავლის არჩევანი – ჰერაკლე, უძლიერესი ადამიანი და სხვა ბერძნული მითები, I კლასი (პალიტრა);

*თოვლის გუნდა წიგნი და უზარმაზარი ფაზლი (პალიტრა);

*თოვლის გუნდა მეგობარს დაეძებს (პალიტრა);

*ენა, მამული, სარწმუნოება (პალიტრა);

*მოსწავლის ბიბლიოთეკა – რ. კიპლინგი, მაუგლი ((სულაკაური);

*მოსწავლის ბიბლიოთეკა, ირმა მალაციძე, ანდაზები და არაკები (სულაკაური);

*მოსწავლის ბიბლიოთეკა – ჩიპოლინოს თავგადასავალი (სულაკაური)'

* გურამ პეტრისშვილი – პატარა ქალაქი ზღაპრები (პალიტრა);

*მოსწავლის ბიბლიოთეკა – ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი (სულაკაური);

*იაკობ გოგებაშვიულის საგანძური – საქართველოს მაცნე (სტანდარტული);

*მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები – აზერბაიჯანული ზღაპრები (პალიტრა);

* მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები – ასურული ზღაპრები (პალიტრა);

*მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები – აფრიკული ზღაპრები (პალიტრა);

*მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები – აფხაზური ზღაპრები (პალიტრა);

*მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ბელორუსული ზღაპრები (პალიტრა);

*მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები – ბირმული ზღაპრები (პალიტრა);

*მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები – ბრაზილიური ზღაპრები (პალიტრა);

*მსოფლიო ხალხთა ზღაპრები – გერმანული ზღაპრები (პალიტრა);

*მსოფლიო ხალხთა ზღაპრები – თურქმენული ზღაპრები (პალიტრა);

*მსოფლიო ხალხთა ზღაპრები – თურქული ზღაპრები (პალიტრა);

*მოსწავლის ბიბლიოთეკა – ქართული ხალხური ზღაპრები (სულაკაური);

*მოსწავლის ბიბლიოთეკა – სალამურას თავგადასავალი (მწვანე);

*სერია: მე მიყვარს კითხვა – ექიმი აიბოლიტი (ელფი);

*სულაკაურის ადაპტირებული კლასიკა ინგლისურად. დიუმა, სამი მუშკეტერი;

*სულაკაურის ადაპტირებული კლასიკა ინგლისურად. დორიან გრეის პორტრეტი;

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება

ფოლკლორი

ამბავი ბედის შესახებ

ერთ სოფელში ახალგაზრდა ვაჟს დასაქორწინებლად რომელი გოგოც აჩვენეს, არცერთი გამოდგა მისი გულის დამპყრობი. ზოგს რას უწუნებდა და ზოგს რას. თავისი შესაფერისი გოგო ვერა და ვერ მოძებნა. ბოლოს წავიდა ბედის მრჩეველთან, რომელმაც უთხრა: ამ წუთას დაიბადა შენი ბედიო. შეიცხადა ვაჟმა, როგორ თუ ახლა დაიბადაო! შეურაცხყოფად მიიღო ეს ამბავი და ახალშობილის საცხოვრებელი ადგილის დადგენა დაიწყო და რის ვაივაგლახით მიაგნო. ერთ ღამეს მის მოსაკლავად შეიპარა სახლში და აკვანში მწოლიარე პატარა გოგონას დანა ჩაარტყა, თვითონ კი სასწრაფოდ გაუჩინარდა.

უიღბლობით შეწუხებულმა თქვა, როგორ თუ ახალშობილი ყოფილა ჩემი ბედი, აი ხომ მოვკალი, ეხლა ნამდვილ ბედზე ვიფიქრებო.

ბედმა ვერც მას შემდეგ გაუღიმა. ბოლოს გაეცალა იქაურობას და მოშორებით, ერთი მდინარის ნაპირას დასახლდა.

გადიოდა წლები...

ერთ დღესაც, მდინარის ნაპირას ჩამომჯდარმა, დაინახა, რომ მდინარეს სკივრი მოაქვს. მაშინვე შეცურდა წყალში და სკივრი ნაპირზე გამოიტანა, ახადა სკივრს და ხედავს, ანგელოზივით ლამაზი 15-16 წლის ქალიშვილია შიგ. ამოიყვანა სკივრიდან და თავისი ამბავი გამოჰკითხა.

ქალიშვილმა უთხრა: 15 წლის რომ შევიქმენი, მამაჩემი ძალზე შეაწუხა ჩემმა მთხოვნელებმა, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, ვისთვის მიეთხოვებინა ჩემი თავი. ამიტომ ჩამსვა სკივრში და მდინარეს გამაყოლა იმ მიზნით, რომ ვინც პირველი დამიჭერდა, იმისი ბედი ვიქნებოდიო.

ჩვენმა ნაცნობმა მამაკაცმა მოისმინა ქალიშვილის ნაამბობი, მაგრამ ვერ იკადრა შეუფერებელი ასაკის გამო ეთქვა, ჩემი იქნებიო.

კარგად რომ დააკვირდა, ჭრილობა შეამჩნია მას მკერდზე და გაკვირვებულმა ჰკითხა: ჭრილობა რატომ გაქვსო?

ქალიშვილმა უამბო, ახალშობილს ღამე ვიღაც უცხომ მოსაკლავად დანა დამარტყა, მაგრამ სიკვდილს სასწაულებრივად გადავურჩიო.

მამაკაცმა იმ წუთშივე გაიხსენა წინასწარმეტყველის ნათქვამი, რომელმაც ზუსტად 15 წლის წინ უთხრა, ეხლა დაიბადა შენი ბედიო.

ამის შემდეგ ნამდვილად დარწმუნდა, ჩემი ბედი ეს ყოფილა, მე კი შეურაცხყოფილად ვიგრძენი ჩემი თავიო.

მიუხედავად ჭარმაგობისა, ახლა ნამდვილად დაიჯერა ბედისა და გაბედნიერდა კიდეც.

მთქმელი სარა შეშაბერიძე, 76 წლის. ასპინძის რაიონის სოფ. ვარგავი. ჩაიწერა გიული ზედგინიძემ 1997 წელს.

სპორტი

მრომავალი წარმატებების იმედით

წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც „კორონა-ვირუსის“ პანდემიის გამო თითქმის მთელ მსოფლიოში შეჩერებული იქნა როგორც კულტურული, ასევე მასობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარება, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა ეკონომიკასთან ერთად ამ სფეროების გამართულ მუშაობას. „ონლაინ-რეჟიმში“ წარმართულმა მუშაობამ კი ბევრი ვერაფერი სიკეთე მოუტანა ამ მიმართებით მუშაობის გააქტიურებას. ეს არც არის გასაკვირი.

იმის გამო, რომ საზოგადოება ნელ-ნელა უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს, მასობრივმა სპორტულმა ღონისძიებებმაც აქტიური ხასიათი მიიღო. შეზღუდვების მოხსნის შემდეგ რესპუბლიკურ ღონისძიებებში ჩვენი თანამემამულე სპორტსმენებიც გამოჩნდნენ, მიმდინარე წლის 20-21 მარტს ქ. თბილისში გაიმართა „თბილისის ზამთრის ღია ჩემპიონატი“. პირველი მერცხალი, რომელმაც მუნიციპალიტეტის სპორტის მოყვარულები გაახარა და წარმატებასაც მიაღწია ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ ტოლოშის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. აღნიშნულ ტურნირზე ბირთვის კვრაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა მერაბ ნადირაძე (პედაგოგი მამუკა ნადირაძე).

ვუსურვებთ მერაბ ნადირაძეს წარმატებულ ასპარეზობას და ვუსურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს სპორტულ სარბიელზე.

პაატა ქავთარაძე

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია